27 თებერვალი

მოთხილამურის საკავშირო დღეა

ყველანი სტარტზე!

კარგ საქმეს ჩაეყარა საფუძველი გასული წლის [illegible] 28 თებერვალს ჩვენს ქვეყანაში პირველად აღინიშნა მოთხილამურის საკავშირო დღე. მილიონობით ადამიანი გამოვიდა მაშინ სათხილამურო ბილიკებზე, რათა შეემოწმებინა საკუთარი ძალა და სიჩაუქე.

თეთრი ბილიკები ახლა კვლავ უხმობს ახალგაზრდებსა და ხანშიშესულებს, ქალებს და ვაჟებს, გამოცდილ სპორტსმენებსა და ახალბედებს. მორბენლის საკავშირო დღის სტარტი ამჯერად დანიშნულია 27 თებერვალს (კვირას).

ენერგიულად ემზადებიან მოთხილამურეთა ამ მასობრივი ასპარეზობისათვის ჩვენს რესპუბლიკაში. ვიმედოვნებთ, რომ საქართველოს თოვლიან რეგიონებში — ბორჯომში, მესტიაში, ახალქალაქში, ახალციხეში, ბოგდანოვკაში, ამბროლაურში, ონში, ცაგერში, ყაზბეგში, სამხრეთ ოსეთში, აჭარასა და სხვაგან — ამჯერად სხვადასხვა ასაკის გაცილებით მეტი მოთხილამურე გამოვა სტარტზე შეჯიბრების გამარტივებული პროგრამით. ამაში ადგილობრივ სპორტკომიტეტებს, ისევე როგორც გასულ წელს, ხელმძღვანელობასა და დიდ დახმარებას გაუწევენ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები.

სათხილამურო სტარტებზე გიხმობთ, მეგობრებო!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 32
(7343)

15
1983 წ.
თებერვალი,
შაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
18 აპრილიდან

დოსააფის IX საკავშირო ყრილობის წინ

•

მთაგორიან ტრასებზე

ყოველ კვირა დღეს ხალხმრავლობაა რუსთავის დოსააფის რესპუბლიკურ სპორტულ-ტექნიკური კლუბის ბაზებზე. ვარჯიშის დაწყების წინ სპორტსმენები მანქანებთან ფუსფუსებენ, ჭანჭიკებს უჭერენ თავიანთ მოტოციკლებს, ავტომობილებს, კარტინგებს, ისმის მოტორების გაბმული გუგუნი.

მოტოკროსის ტრასაზე ერთდროული ვარჯიში აქვთ თბილისის ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ-ტექნიკური კლუბისა და რესპუბლიკური კლუბის მოტოკროსმენებს. ძირითადად სწორედ ამ უკანასკნელის ბაზაზეა დაკომპლექტებული საქართველოს ნაკრები გუნდი.

დამთავრდა 15-წუთიანი მოთელვა. მოვარჯიშეებმა მოტოციკლები ფერდობზე დააწყვეს, მწვრთნელის დავალება მიიღეს და კვლავ მოახტნენ „რკინის რაშებს“. ახალგაზრდა მწვრთნელი, სპორტის ოსტატი ალექსანდრე სისაური გვაცნობს მოტოკროსმენებს: ალექსანდრე ბუგაიოვი 125 კბ სმ-ის ძრავიანი მოტოციკლით სსრ კავშირის ჩემპიონია ახალგაზრდებს შორის; გალინა ლოგინოვა სპორტის ოსტატია ცურვაში, მაგრამ ორი წელია, რაც მოტოსპორტმა გაიტაცა და უკვე საქართველოს ჩემპიონიც გამხდარა ამ სახეობაში; სვეტლანა ველიკანოვა კი რესპუბლიკის მრავალგზის ჩემპიონია. ეტლიანი მოტოციკლით ალექსანდრე ჩვანოვისა და შტურმან ვლადიმერ გომერშმიტის ეკიპაჟი ვარჯიშობს. ვლადიმერ სუხენკო ჭაბუკთა შორის საქართველოს ჩემპიონია, სპორტის ოსტატი ალექსანდრე ლარინი კი, ყველაზე გამოცდილი სპორტსმენი, VII საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონი გახლავთ. აქვე ვარჯიშობენ ანატოლი ნასონოვი, ილია გელაშვილი, ვალერი ტარალაშვილი, სპორტის ოსტატები ალექსანდრე ბესალი, ნიკოლოზ ბუკრეევი და სხვები.

მთაგორიან ველზე, აღმართ-დაღმართების მკვეთრ ვირაჟებში, ბორცვზე გადაფრენილი მოტოციკლი კვლავ მშვიდად აგრძელებს რბოლას. ლამაზი სანახავია დახლართულ ბილიკებზე ელვის სისწრაფით მქროლავი ორთვლიანი მანქანები. ყოველივე ეს სპორტსმენისაგან საკმაო ფიზიკურ მომზადებას, დიდ გამბედაობას და სწრაფი აზროვნების უნარს მოითხოვს.

სულ მალე რუსთავის ტრასაზე გაიმართება რესპუბლიკური პირველობა მოტოკროსში. თებერვლის ბოლო რიცხვებში საქართველოს ნაკრების წევრები ბაქოში სსრ კავშირის გმირის ასლანოვის სახელობის პრიზისთვის იბრძოლებენ. მარტში, გალში, კვლავ საქართველოს პირველობა გაიმართება. ივლისში კი წლის ყველაზე მნიშვნელოვანი ასპარეზობა — სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადაა.

არაფერი გვითქვამს ნაკრები გუნდის პოტენციურ შესაძლებლობებზე. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, გვყავს რამდენიმე პერსპექტიული სპორტსმენი, მაგრამ სასურველ დონეს ჯერჯერობით მაინც ვერ ვაღწევთ. მიზეზი ალბათ, ბევრია, მათგან მთავარია ნაკლები მასიურობა. იმისათვის, რომ საუკეთესო შედეგები მოვიპოვოთ, რაც შეიძლება მეტ მოზარდს უნდა შევაყვაროთ და შევასწავლოთ სპორტის ეს ლამაზი, ვაჟკაცური სახეობა.

ბ. ბარჯაძე.
(„ლელოს“ კორ.).

● თანამედროვე ხუთჭიდი

თასი — დინამოელებს!

— **მონდომებით,** გულმოდგინედ ეკიდება საქმეს, თავდაუზოგავად ვარჯიშობს, ძალიან უყვარს ცხენოსნობა. ჯერჯერობით ცურვაში უჭირს. კიდევ დიდი ჯაფა და შრომაა საჭირო, — გვითხრა ეთერ გონგაძის მწვრთნელმა ვიქტორ კოჩერევსკიმ საქართველოს 1983 წლის თასის ღია გათამაშების დამთავრების შემდეგ. ამ შეჯიბრებაში წარმატებით გამოვიდა მისი აღსაზრდელი (იგი უკონკურსოდ მონაწილეობდა) — წელს პირველად შეასრულა სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი. ეთერი პირველი ქართველი გოგონაა, რომელმაც თანამედროვე ხუთჭიდში ასეთ წარმატებას მიაღწია. აი, მისი შედეგები: ფარიკაობა — 968 ქულა, ცხენოსნობა — 990, ცურვა — 860, ტყვიის სროლა — 934, 2000 მეტრზე რბენა — 925. საერთო ჯამი — 4677 ქულა.

თასის წლევანდელ გათამაშებაში მონაწილეობდა „სპარტაკის“, „დინამოსა“ და „ბურევესტნიკის“ ორ-ორი გუნდი. მოწვეულნი იყვნენ აგრეთვე ბაქოსა და რიგის (გამოდიოდა ორი გუნდით) კოლექტივები, სულ 50 სპორტსმენი.

პირველი დღე. ფარიკაობაში დინამოელმა სპორტსმენებმა ისახელეს თავი და გაიმარჯვეს. საპრიზო ადგილები ასეთი თანმიმდევრობით განაწილდა: დ. გრიგორი (1105), ი. ბრიზგალოვი (1105) და გ. გოგოლაძე (1000).

მეორე დღე. ცხენოსნობა (კონკური), რომელიც ზამთრის დახურულ მანეჟში მიმდინარეობდა, ძალზე დაძაბულად და საინტერესოდ ჩატარდა. სამივე პრიზიორმა წინაღობათა გადალახვის დროს ქულათა თანაბარი რაოდენობა (1070) მოაგროვა. ადგილები ნაჩვენები დროის მიხედვით ასე განაწილდა: დ. გრიგორი, ვ. პოლიაკოვი („ბურევესტნიკი“) და ი. პეტუხოვი (რიგა).

მესამე დღე. ცურვაში ტოლი არ ჰყავდათ ბურევესტნიკელ ხუთჭიდელებს, საპრიზო ადგილებიც მათ შორის განაწილდა: ვ. იაგორაშვილი (1228), ე. ლეგენინი (1212), ს. ბოროდინოვი (1200).

მეოთხე დღე. ტყვიის სროლაში საოცარი სიზუსტით იასპარეზა სსრ კავშირის 1981 წლის ჩემპიონმა ი. ბრიზგალოვმა, რომელმაც 200 შესაძლებლიდან 200 ქულა მოაგროვა და კოეფიციენტის ცხრილით ქულათა მაქსიმუმი (1132) მოაგროვა. მეორე იყო რიგელი ბ. ლევინინი (1044), მესამე — დ. გრიგორი (1022).

მეხუთე დღე. 4000 მეტრზე რბენაში უძლიერესი იყო ბაქოელი ო. კოშელიოვი (1276). მეორე ადგილზე გავიდა მისი თანაგუნდელი ვ. პარფიონოვი (1246), მესამეზე — დ. გრიგორი (1228).

პირად ჩათვლაში საქართველოს 1983 წლის თასის მფლობელი გახდა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი იგორ ბრიზგალოვი — 5633. მეორე ადგილი დაიკავა სპორტის ოსტატმა დ. გრიგორმა — 5553, მესამე იყო სპორტის ოსტატი ვ. იაგორაშვილი — 5239.

თასი მოიპოვა „დინამოს“-I-მა გუნდმა — 15971, რომელმაც საგრძნობლად გაუსწრო მეორე და მესამე პრიზიორებს — რიგა-I და ბაქოს გუნდებს. გამარჯვებულთა შორის ი. ბრიზგალოვთან და დ. გრიგორთან ერთად გამოდიოდნენ აგრეთვე სპორტის ოსტატები გ. გოგოლაძე და ფ. პორტნოვი.

გ. დოლენჯაშვილი.

* * *

სურათებზე: ე. გონგაძე ასპარეზობისას; ი. ბრიზგალოვი, დ. გრიგორი, გ. გოგოლაძე, ფ. პორტნოვი.

ავტორის ფოტოები.

რუბრიკის პრემიერა:



„მხარდამხარ — ჩვენი სპორტის სამსახურში!“

საბჭოთა ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობას, რომელიც დღითიდღე მტკიცდება და ძლიერდება, ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს სხვადასხვა ერის წარმომადგენლები ქმნიან. დიდი საბჭოთა სპორტის მატიანეში იმთავითვე ჩაიწერა გამოჩენილ ქართველ ათლეტთა სახელებიც, რომლებიც ღირსეულად იცავდნენ და იცავენ სხვადასხვა რესპუბლიკისა თუ ქალაქის სპორტულ ღირსებას. თავის მხრივ სპორტული საქართველოს დიდებას ამრავლებენ და დღესაც მის სამსახურში არიან სხვადასხვა ეროვნების, მათ შორის რუსი სპორტსმენებიც — საუკეთესო მძლეოსნები, ტანმოვარჯიშენი, ჩოგბურთელები, მოთხილამურენი, ფეხბურთელები...

წლეულს, როდესაც ფართოდ აღინიშნება გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავი, ვფიქრობთ, ინტერესს გამოიწვევს „ლელოს“ ახალი რუბრიკა: „მხარდამხარ — ჩვენი სპორტის სამსახურში!“. რუბრიკას ვიწყებთ შესანიშნავი ფეხბურთელის, თბილისის „დინამოს“ ძველი თაობის წარმომადგენლის, სპორტის ოსტატ ბორის ფროლოვის გახსენებით.

მტკიცე დისციპლინა, პასუხისმგებლობა — ყველგან, ყველაფერში!

პასიური მეთოდისტი, ინერტული დირექცია

— **ხომ** გაგიგონიათ, შვილო, „უპატრონო თხაო მგელმა შეჭამაო“. — გვითხრა შუახანს მიტანებულმა კაცმა, ნატახტრის მებოსტნეობის საცდელ-საჩვენებელი საბჭოთა მეურნეობის მუშამ ალექსი დილმელაშვილმა და ხელი სპორტული მოედნებისკენ გაიშვირა. — ეს კომპლექსი ამ რამდენიმე წლის წინათ მოეწყო, თითქოს სიცოცხლეც ჩქეფდა... მაგრამ ბოლო ორი წელია ჩვენთან ერთი სპორტული ღონისძიებაც კი არ ჩატარებულა. მოედნები მოუვლელობის გამო გავერანდა. მართალია, მეურნეობის ხელმძღვანელობამ აქაურობა მავთულის ბადით შემოღობა, მაგრამ უპატრონოდ მიტოვებულ მინდორში მოსახლეობამ საქონელი და ფრინველი შეუშვა. ზოგიერთთან შელაპარაკებაც მომიხდა. უფროსები არას ამბობენ და შენ ვინა გკითხავსო — მითხრეს. მართლაც, ვისი ღვიძლი საქმეცაა ამ მოედნების მოვლა, ერთხელაც არ მინახავს აქ მოსული, ფიზკულტურის მეთოდისტები მყავს მხედველობაში...

ა. დილმელაშვილის სიტყვების სისწორეში მოედნების დათვალიერებისთანავე დავრწმუნდით. ერთგან მავთულბადეა გარღვეული, რის გამოც მოედნები ავტომანქანების, შინაური ცხოველებისა და ფრინველების სათარეშოდაა ქცეული. კალათბურთის მოედნის გვერდით ამ წლინახევრის თუ ერთი წლის წინათ ღია საცურაო სარბიელის მოსაწყობად ორმო ამოუთხრიათ და მის ირგვლივ ხეები დაურგავთ, მაგრამ ნახერხის მოტანა დღემდე ვერ მოუხერხებიათ. ნარგავები უკვე გაუჩანაგებია საქონელს. მათ ადგილას ნარეკალია ამოსული.

ფიზკულტურა და სპორტი ხომ ახალგაზრდობის საქმეა. სპორტულ მოედნებსაც ფიზკულტურის მეთოდისტის ხელმძღვანელობით ახალგაზრდებმა უნდა მიხედონ. ნატახტრის საბჭოთა მეურნეობის ქალიშვილები, ჭაბუკები და ფიზკულტურის მეთოდისტი თ. ჯიქური (თუმცა არც მის წინამორბედთ „მოუკლავთ თავი“ მაინცდამაინც) ალბათ სხვაგვარად ფიქრობენ. ამაზე მიუთითებს არა მარტო გაპარტახებული მოედნები, არამედ ფეხბურთის კარებზე უპატრონოდ მიტოვებული დაფლეთილი ბადეები და ფრენბურთის, კალათბურთისა და ფეხბურთის მოედნებზე სალებავგადაცლილი და ჟანგმოდებული რკინის ძელები.

ცხადია, ასეთი სურათის მნახველნი მეურნეობის ფიზკულტურული კოლექტივის მუშაობით დავინტერესდით. მით უმეტეს, მცხეთის რაიონულ სპორტკომიტეტში გვითხრეს, რომ მეურნეობის (იგი შვიდი სოფლის 700-მდე მუშა-მოსამსახურეს აერთიანებს) ფიზკულტურელებმა შარშან მხოლოდ ფეხბურთელები გამოიყვანეს რაიონული მასშტაბით ჩატარებულ შეჯიბრებებში და ისიც უმედეგოდ. ფიზკულტურის მეთოდისტის თ. ჯიქურის მიერ „კოლმეურნეს“ რაისაბჭოში წარმოდგენილ სტატისტიკურ ანგარიშს (ფორმა № 1) თუ დავუჯერებთ, აქ ყველაფერი რიგზეა. შარშან მეურნეობაში კალათბურთის, ფრენბურთის, ტყვიის სროლის, მაგიდის ჩოგბურთის, ფეხბურთის, ჭადრაკისა და შაშის სექციებში ორასზე მეტი (!) ფიზკულტურელი ყოფილა გაერთიანებული, ხოლო ტურიზმის სექციაში — 45. მოუმზადებიათ 50 (!) თანრიგოსანი და 60 (!) მშთ-ს ნიშნოსანი, ეს მაშინ, როცა მეურნეობაში ბოლო ორი წლის მანძილზე არც ერთი სპორტული ღონისძიება არ ჩატარებულა. მეურნეობაში დღემდე არ ჩამოუყალიბებიათ ფიზკულტურული კოლექტივის საბჭო, მშთ კომპლექსის მიმღები კომისია, ვერსად ნახავთ სპორტულ თვალსაჩინოებას და სხვ. მართალია, თ. ჯიქური შარშან საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზაციის შემდეგ დაუბრუნდა მშობლიურ სოფელს და ივლისში შეუდგა მუშაობას. სურვილი დიდი ჰქონდა, მაგრამ მარტო სურვილი რა ბედენაა, თუ მას საქმე არ მოჰყვება. ახლადდანიშნულ მეთოდისტს კი, რომელსაც მხოლოდ საშუალო განათლება აქვს, თითი თითზე არ დაუკარებია მეურნეობაში ჩაშლილი ფიზკულტურული მუშაობის გასაუმჯობესებლად. ისედაც პასიურ მეთოდისტს არავითარი დახმარება არ აღმოუჩინა მეურნეობის დირექციამ (დირექტორი გ. მოხევიშვილი), არც პარტიულმა (პარტბიუროს მდივანი ვ. მანგოშვილი), პროფკავშირულმა (თავმჯდომარე თ. ჯანგირაშვილი) და კომკავშირულმა (ალკკ კომიტეტის მდივანი ო. მოხევიშვილი) ორგანიზაციებმა. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ფიზკულტურული მუშაობის გაუმჯობესების შესახებ შარშან არც ერთხელ არ უმსჯელიათ არც კრებებზე და არც თავიანთ სხდომებზე. უფრო მეტიც, რომ არაფერი ვთქვათ ადრინდელ წლებზე, მარტო შარშან აუთვისებელი დარჩა სპორტული ფორმებისა და ინვენტარისათვის გამოყოფილი 300 მანეთი და ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობისათვის გამოყოფილი 700 მანეთი. აქვე ისიც უნდა დავძინოთ, რომ ნატახტრის საბჭოთა მეურნეობაში შემავალი დანარჩენი ექვსი სოფლიდან (მისაქციელი, ახალუბანი, ნაოზა, აღდგომიანთაკრი, ახალდაბა და ფრეზეთი) არც ერთს არ გააჩნია თუნდაც მარტივი ტიპის სპორტული მოედნები, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მეურნეობის ხელმძღვანელები პატივს არ სცემენ ფიზკულტურასა და სპორტს. საკვირველია, ნატახტრის საბჭოთა მეურნეობა, რომელიც სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების მხრივ ერთ-ერთი მოწინავე და მისაბაძი კოლექტივია რაიონში, სადაც ყოველგვარი პირობაა იმისათვის, რომ ფიზკულტურული მუშაობაც ყველასათვის მისაბაძი იყოს, თითქმის არაფერი კეთდება ამ მიმართულებით. მეტი დაინტერესება და პირადი პასუხისმგებლობის გამოჩენაა საჭირო. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მეურნეობაში ფიზკულტურული მუშაობა ასე არ ჩამორჩებოდა და თვითდინებას არ მიეცემოდა, რომ რაიონულ სპორტკომიტეტს, „კოლმეურნეს“ რაისაბჭოს, რაიონის პარტიულ, საბჭოთა და კომკავშირულ ორგანიზაციებს მეტი გულისყური, დახმარება, კონტროლი და მომთხოვნელობა გამოეჩინათ ფიზკულტურული კოლექტივისადმი.

როგორც გამოირკვა, მეურნეობაში მრავლად ჰყოლიათ ახალგაზრდა თანრიგოსანი სპორტსმენები, მათ ნამდვილი ფიზკულტურული წინამძღოლი და ორგანიზატორი, მხარდამჭერა და დახმარება სჭირდებათ. ერთიანი ძალით კი აუცილებლად ეშველება საქმეს.

ვ. დანელია.
(„ლელოს“ სპეც. კორ.).

მცხეთის რაიონი.

მხარდამხარ — ჩვენი სპორტის სამსახურში



„ქართული სელინი“

...**ომამდე** საბჭოთა ფეხბურთში იყო ერთი მეტად პოპულარული ოსტატი, „ჰაერის მეფეს“ რომ უწოდებდნენ თავით ვირტუოზული თამაშისთვის. იგი მოსკოვის „დინამოსა“ და „მეტალურგის“, ქვეყნის ნაკრების ცენტრალური ნახევარმცველი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ფიოდორ სელინი გახლდათ.

„ქართული სელინი“ — ასე, სიყვარულით უწოდებდნენ ნაცნობმეგობრები, გულშემატკივრები თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის (იგი აქ 1937-1947 წლებში თამაშობდა) ცენტრალურ მცველს, სპორტის ოსტატ ბორის ფროლოვს, რომელიც ფიზიკური მონაცემებით და გარეგნულადაც ძალიან ჰგავდა სახელგანთქმულ მოსკოველ ფეხბურთელს: მაღალი (182 სანტიმეტრი სიმაღლის), წარმოსადეგი, იგი დახვეწილი ტექნიკით, შეუდრეკელობით გამოირჩეოდა, საუკეთესოდ თამაშობდა თავით.

ძველ გულშემატკივრებს კარგად ახსოვთ ბ. ფროლოვის თამაში, ახსოვთ მისი პირველი მატჩიც თბილისის „დინამოში“, სადაც მან ნახევარდაცვის ცენტრში მიხეილ მინაევი შეცვალა. მას შემდეგ ამ შესანიშნავმა ფეხბურთელმა დინამოელთა შემადგენლობაში მრავალი შეხვედრა ჩაატარა. ბევრჯერ იხსნა ჩვენი კარი სპარტაკელ ვიქტორ სემიონოვის, არმიელების გრიგოლ ფედოტოვისა და ვსევოლოდ ბობროვის, მეტალურგელის სერგეი კაპელკინის, ტორპედოელი ალექსანდრე პონომარიოვის სახიფათო დარტყმებისაგან. თბილისელთა მცველი მეტოქეთა წინ მუდამ გაუვალ ციხე-სიმაგრედ აღიმართებოდა ხოლმე.

...ფროლოვების ოჯახი კრასნოდარიდან ბათუმში რომ ჩამოვიდა საცხოვრებლად, ბორისი სულ 5 წლისა იყო და იმხანად მრავლად არსებულ მინდორ-ველზე მობურთავე ბიჭებს ისიც შეერია. მაშინ აჭარაში და, შეიძლება ითქვას, მთელს საქართველოში ქუხდა ბათუმის ნაბაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების („ბდპო“) ფეხბურთელთა გუნდის სახელი, რომელსაც ძველი ბათუმელი მეკარე სოკრატ იოაკიმიდი (იგი ადგილობრივი „დინამოს“ მწვრთნელიც იყო) ავარჯიშე-

ბურთელები შეიკრიბნენ მეხანძრეთა გუნდში — მცველები კუკო ფეხლევანიდი და რომა პოლოსოვი, მეკარე კეფთორ კელენჯიანი, თავდამსხმელები ალიოშა მარუაშვილი, კარპო კარამატაზიანი, იანე კაზანჯიდი...

სწორედ ამ გუნდის შემადგენლობაში ჩაირიცხა ახალგაზრდა ბორის ფროლოვი, რომელსაც მწვრთნელმა თავიდანვე დაცვაში მიუჩინა ადგილი. უნდა ითქვას, რომ იგი მხოლოდ გარეგნული ფიზიკური მონაცემებით კი არ გამოირჩეოდა, არამედ საერთოდ კარგი ათლეტიც იყო. ბორისი თავისუფლად წვდებოდა ფეხით კარის ზედა ძელს, 180 სანტიმეტრ სიმაღლეზე გადებულ თამასას სძლევდა. რაც მთავარია, ნიჭიერ ფეხბურთელს საკმაოდ მაღალი ტექნიკა ჰქონდა, კარგად ესმოდა თამაში, ბურთის ჩინებული ართმევით გამოირჩეოდა.

...1936 წელს ბათუმში თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდი ადგილობრივ თანაკლუბელებთან სსრ კავშირის თასის გათამაშების მატჩს ატარებდა. მასპინძლებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს აღიარებულ ოსტატებს. რაშიც „ბრალი“, უპირველეს ყოვლისა, გუნდის ახალგაზრდა ცენტრალურ ნახევარმცველს მიუძღოდა. პირველ დღეს მეტოქეთა შეხვედრაში გამარჯვებული ვერ გამოვლინდა — 0:0, მეორე დღეს კი ბათუმის „დინამოს“ სტადიონის ტაბლოზე, როგორც იქნა, ციფრი „1“ გამოჩნდა. ეს ერთადერთი ბურთი შეხვედრის მიწურულში 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით მიხეილ ბერძენიშვილმა გაიტანა. ამ დღეს ჩინებულად ითამაშეს ბათუმელებმა კუკო ფეხლევანიდიმ, რამიზ კარიჩევმა, კონსტანტინე ანიკინმა (იგი თბილისის დინამოელის ცნობილი ნახევარმცველის ნიკოლოზ ანიკინის ძმა იყო), განსაკუთრებით კი ბორის ფროლოვმა. თამაშის შემდეგ თბილისელთა კაპიტანმა შოთა შავგულიძემ იხმო ბორისი და ხაზგასმული დელიკატურობით დაეკითხა: „ჩვენს გუნდში ხომ არ ისურვებდით თამაშს?“

— მწვრთნელს უნდა დავეკითხო — მივუგე მე (ეს საუბარი ბ. ფროლოვთან ამ რამდენიმე წლის წინათ გაიმართა „ლელოს“ რედაქციაში, როდესაც ჩვენ მისი დაბადების 65 წლისთავთან დაკავშირებით ვამზადებდით წერილს, რომელსაც, სამწუხაროდ, ვერ მოესწრო)—და მერე ხომ სამსახურიდან მომიხდება გათავისუფლება (მეხანძრეთა საზოგადოების სახელოსნოში მჭედლად მუშაობდა).

იმავე საღამოს ფროლოვების ოჯახს ეწვივნენ თბილისის „დინამოს“ მაშინდელი მწვრთნელი — შესანიშნავი სპეციალისტი ჟიულ ლიმბეკი მეუღლითურთ, სამიოდე დღის შემდეგ კი ბათუმში კვლავ ჩავიდა შ. შავგულიძე, რომელიც... იმავე დღეს ახალგაზრდა ფეხბურთელთან ერთად თბილისის გზას დაადგა.

ბ. ფროლოვმა სულ მალე ძირითად შემადგენლობაში დაიმკვიდრა ადგილი. საუკეთესო მონაცემების მქონე ნიჭიერ ფეხბურთელთან ბევრს მუშაობდნენ დინამოელთა მწვრთნელები ჟიულ ლიმბეკი, ასირ გალპერინი და პეტრე ორეხოვი. საათობით ვარჯიშობდნენ მასთან პაიჭაძე და ჯეჯელავა — სწორედ ერთ-ერთმა მათგანმა უწოდა ბორისს პირველად „ფიოდორ სელინი“.

10-წუთიანი დოკუმენტური კინოფილმის „ბასკები თბილისში“ დასაწყისში გადაღებული არიან 1937 წლის 24 ივლისის პირველი საერთაშორისო მატჩის მონაწილენი. ტრადიციულ თეთრ-ცისფერ მაისურებიან დინამოელთა რიგებში დგას მომღიმარი მაღალი ქერათმიანი ფეხბურთელი ბორის ფროლოვიც.



— სამწუხაროდ, ბასკებთან მე მხოლოდ საზეიმო ცერემონიალზე გამოვედი — იხსენებდა ბ. ფროლოვი. — რადგან დაშავებული ვიყავი. ძალიან დამწყდა გული, რომ სახელგანთქმულ „ტანკის“ — ისიდრო ლანგარას წინააღმდეგ ვერ ვითამაშე, თუმცა თადარიგში მაინც ვითვლებოდი, ალბათ, ეს არშემდგარი ორთაბრძოლა ბევრს მომცემდა როგორც ფეხბურთელს. მაგრამ მოგვიანებით მაინც მომიწია საერთაშორისო მატჩებში გამოსვლა — 1944 და 1945 წელს ირანსა და რუმინეთში.

რედაქციაში საუბრისას დავინტერესდით თუ რომელი მატჩი დაამახსოვრდა ვეტერანს ყველაზე მეტად, ცხადია, თავის მონაწილეობით.

— 1946 წლის მატჩი მოსკოვის „დინამოსთან“ თბილისში და 1939 წელს აქვე გამართული შეხვედრა ცდკა-სთან. გახსოვთ, ალბათ: ვაგებდით 1:4 (არმიელებმა უკვე დეპეშაც კი აფრინეს მოსკოვში — „მოგვილოცეთ მეორე ადგილიო!“) და... გავიმარჯვეთ 5:4. არ ვიცი როგორ ვითამაშე, მაგრამ ერთი რამ ფაქტია — ჩემს „ვიზავის“ გრიგოლ ფედოტოვს ამ დღეს ბურთი არ გაუტანია. აღტაცებულმა გულშემატკივრებმა ხელში აიტაცა მთელი ჩვენი გუნდი. ცნობილმა თბილისელმა ოსტატმა „პაველ ბურემ“ საკუთარი საათი მოიხსნა და მაჯაზე გამიკეთა.

...ბორის ფროლოვმა მშობლიურ „დინამოში“ ასამდე მატჩში ითამაშა. 1947 წლის სეზონის დასაწყისში იგი დაშავდა მოსკოვში ადგილობრივ დინამოელებთან შეხვედრის დროს და იძულებული იყო მიეტოვებინა დიდი ფეხბურთი.

...1948 წელს ბ. ფროლოვი ბათუმში დაბრუნდა, სადაც ადგილობრივი „დინამოს“ გუნდის უფროსი მწვრთნელი გახდა, 1952-1953 წლებში კი ავარჯიშებდა ბათუმის პიონერთა პარკის იმხანად საკმაოდ ძლიერ გუნდს, რომელშიც თამაშობდნენ ისეთი ფეხბურთელები, როგორიც არიან ანზორ კავაზაშვილი, ანზორ კვაჭაძე, ილია დათუნაშვილი და სხვა.

ბორის ფროლოვი თბილისის „დინამოს“ სტადიონზე ბოლოს... 1950 წლის 19 ნოემბერს ვიხილეთ. დიახ, ამ დღეს აქ ორი „დინამოს“ — 1940 და 1950 წლების შემადგენლობების — მატჩი გაიმართა. ახალგაზრდა დინამოელებს (მარღანია, ელოშვილი, ძიაპშიპა, სარჯველაძე, ანთაძე, გარიშვილი, ჯოჯუა, მახარაძე, ვარდიმიადი, ლოლობერიძე, თოდრია), რომლებსაც მ. იაკუშინი ავარჯიშებდა, იმ დღეს ბრინჯაოს მედლები გადაეცათ ქვეყნის ჩემპიონატში მესამე ადგილის დაკავებისთვის. ცნობილმა მსაჯმა ნესტორ ჩხატარაშვილმა საასპარეზოდ მათი წინამორბედნიც იხმო — დოროხოვი, შავგულიძე (გაგუა), ჭუმბურიძე (ჭელიძე), ჯორბენაძე, ფროლოვი, კიკნაძე, გავაშელი, ბერძენიშვილი, პაიჭაძე, ბერეჟნოი, სომოვი (პანიუკოვი).

რარიგ უხაროდა ამ ღვაწლმოსილ ფეხბურთელს, მისი უფროსი შვილი, სპორტის ოსტატი იგორიც მამის კვალს რომ გაჰყვა. იგი საუკეთესო მეკარე დადგა, საფეხბურთო უნივერსიტეტი თვით ვლადიმერ მარღანიასთან გაიარა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც თბილისში სწავლობდა. მერე იგორ ფროლოვი იცავდა ქობულეთის „შუქურას“ კარს, საიდანაც ნიკიტა სიმონიანმა იგი მოსკოვის „სპარტაკში“ წაიყვანა (1958 წელს იგორი ვლადიმერ მასლაჩენკოსთან და სხვებთან ერთად სსრ კავშირის თასის მფლობელი გახდა). ამის შემდეგ ი. ფროლოვი თამაშობდა ცსკა-ში, მინსკის „დინამოში“, მოსკოვის „ლოკომოტივში“. 1970-1971 წლებში იგორ ფროლოვი და მისი მეუღლე ნატაშა იაკუშინა (იგი სახელგანთქმული მწვრთნელის მიხეილ იაკუშინის შვილია) ბრაზილიაში მუშაობდნენ. იგორი იქ ადგილობრივ საკლუბო გუნდში თამაშობდა, რომლის მატჩს ერთხელ თვით პელეც დაესწრო.

—ნეტავ ჩვენ მოგვცა ასეთი მეკარე! — აღტაცებით წარმოუთქვამს ფეხბურთის მეფეს და იქვე სამახსოვრო სურათი გადაუღია საბჭოთა ოსტატთან.

ბორისის მეორე ვაჟიც — დიმა (მან საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაამთავრა, მუშაობდა ბათუმის ნავთობგადასამუშავებელ ქარხანაში ინჟინრად, დღეს მოსკოვში ცხოვრობს) კარგი სპორტსმენი იყო — სპორტის ოსტატი, საქართველოს ჩემპიონი და რეკორდსმენი ცურვაში. დიმასაც უნდოდა ფეხბურთელობა, მაგრამ მამამ მკაცრად უთხრა: „ჯობს კარგი მოცურავე იყო, ვიდრე ცუდი ფეხბურთელი!“

დიახ, ბორის ფროლოვს მართლაც ძალიან უყვარდა ფეხბურთი, წამითაც არ შეეძლო მისი ღალატი, არ სურდა ვინმესაგან მისი „ნახევრადსამსახურის“ გაგონებაც კი და ბოლომდე ერთგული დარჩა ქართული ფეხბურთის ფლაგმანის — თბილისის „დინამოს“ ოსტატთა გუნდისა, რომელშიც მთელი 11 წელი იმყოფებოდა მის ღირსეულ და საიმედო წევრად.

ო. ნოზაძე.

• • •

სურათებზე: ბორის ფროლოვი მატჩის წინ; მხატვარ ი. გურის მიერ 1947 წელს შესრულებული მეგობრული შარჟი.

2 მარტს: კიევის „დინამო“ — „ჰამბურგერ შპორტფერაინი“

ჰამბურგელთა „სავიზიტო ბარათები“

„სადარბაზო ბარათი“, როგორც ცნობილია, კლუბსაც აქვს და თითოეულ მოთამაშესაც. „ჰამბურგერ შპორტფერაინს“ არა ერთი და ორი წარმატება აქვს მოპოვებული. გავიხსენოთ ზოგიერთი მათგანი. 1977 წელს ჰამბურგელები ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასს დაეუფლნენ, ხუთჯერ იყვნენ გფრ-ს ჩემპიონები, ორჯერ ამ ქვეყნის თასი მოიპოვეს. დღეისათვის გუნდი ბუნდესლიგის ლიდერია და ჩემპიონობის ძირითად პრეტენდენტად ითვლება. „ჰამბურგერ შპორტფერაინის“ პრეზიდენტმა დოქტორმა კლაინმა ისიც კი თქვა, რომ ბუნდესლიგაში საერთოდ ვერ ხედავს ღირსეულ მეტოქეს. ეს, რა თქმა უნდა, მთლად ასე არ გახლავთ, მაგრამ ყოველგვარი ეჭვის გარეშე, „ჰამბურგერ შპორტფერაინი“ ამჟამად ერთ-ერთი უძლიერესი კლუბია ევროპაში და ჩემპიონთა თასის მოპოვების სერიოზული პრეტენდენტიც. გუნდს ეკუთვნის ბუნდესლიგის ერთი საინტერესო რეკორდი — მან წაუგებლად ითამაშა 36 კალენდარული მატჩი!

მიმომხილველთა აზრით, ჰამბურგელთა კლუბის ესოდენ მომძლავრებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ცნობილ იუგოსლაველ მწვრთნელ ბრანკო ზებეცს. 1979 წლის 7 ნოემბერს, როცა „ჰამბურგმა“ თბილისში ითამაშა, გუნდს სწორედ ეს სპეციალისტი ედგა სათავეში. 1981 წელს ზებეცი შესანიშნავმა ავსტრიელმა მწვრთნელმა ერნსტ ჰაპელმა შეცვალა და გუნდმა მოიპოვა კიდეც ჩემპიონობა. საინტერესოა, რომ ზებეცის ყოფილი ასისტენტი ალექსანდრ რისტიჩი გუნდში დარჩა და ახლა ჰაპელს ეხმარება. ახალი ხელმძღვანელის მთავარი ამოცანა იყო გუნდის გაახალგაზრდავება. 1982 წელს „ჰამბურგი“ დატოვა ორმა ვეტერანმა — სახელოვანი ბეკენბაუერი და მემერინგი ახალგაზრდებმა შეცვალეს. ჰამბურგელები სრული დატვირთვით თამაშობენ, მათი საბრძოლო სულისკვეთება დიდია. აი, რას ამბობს თვით ჰაპელი: „ჩვენ „ტურისტები“ არა გვყავს“. გაზეთი „ჰამბურგერ აბენდბლატი“ წერდა: „თვით დირიჟორი მაგათიც კი არ თაკილობს „შავი სამუშაოს“ შესრულებას“. ჰამბურგელთა ძირითადი კონკურენტის „ბაიერნის“ კაპიტანმა რუმენიგემ მეტოქეთა გუნდს „კარგად შედუღაბებული ძალა“ უწოდა.

ახლა კი კიეველთა მოწინააღმდეგის საბრძოლო შემადგენლობას გავეცნოთ.

ულრიხ შტაინი (დაიბ. 1954 წ.). მეკარე. მოქმედებს ძალიან საიმედოდ. ამჟამად ერთ-ერთი უძლიერესია ბუნდესლიგაში. ორჯერ ითამაშა ქვეყნის მეორე ნაკრებში, ხუთჯერ — გფრ-ს სამოყვარულო ნაკრებში.

ჰოლგერ ჰიერონიმუსი (1959). მცველი. მას ყურადღება ჯერ კიდევ ზებეცმა მიაქცია. ჩატარებული აქვს ორი მატჩი ქვეყნის პირველ ნაკრებში, ერთი — მეორე ნაკრებში, 8 — ახალგაზრდულ ნაკრებში.

იურგენ გრო (1956). მცველი. გუნდის შედარებით ახალი წევრი. შარშან პირველად ითამაშა ეროვნულ ნაკრებში. გარდა ამისა, მეორე ნაკრებში ჩატარებული აქვს 10 მატჩი.

დიტმარ იაკობსი (1953). მცველი, ზოგჯერ შუა ხაზზეც გამოდის. კარგი ტექნიკისა და ტაქტიკური ალღოს მქონე ფეხბურთელია. ერთხელ პირველ ნაკრებში ითამაშა, შვიდჯერ — მეორეში.

მანფრედ კალცი (1953). გფრ-ს ნაკრებში გამოდის 1975 წლიდან (69 მატჩი). გარდა ამისა, ჩატარებული აქვს 6 მატჩი მეორე ნაკრებში, 2 — ახალგაზრდულში, 7 — სამოყვარულო ნაკრებში. ადრე თამაშობდა როგორც ცენტრალური მცველი, მაგრამ შემდეგ მიიჩნიეს, რომ უკეთესი იქნებოდა მისი გამოყენება დაცვის მარჯვენა ფრთაზე. ძალიან ემარჯვება შეტევაში ჩართვა. კიგანმა მასზე თქვა: „კალცი გახლავთ შესანიშნავი მარჯვენა მცველი და უძლიერესი... მარჯვენა გარემარბი მსოფლიოში“. ამ ფეხბურთელის დიდი საერთაშორისო რეპუტაციის მიუხედავად, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ კალცს აშკარად „არ გამოუვიდა“ თამაში მსოფლიოს უკანასკნელ ჩემპიონატში.

ბერნდ ვემაიერი (1952). მცველი. ძირითადი შემადგენლობის ერთად-ერთი მოთამაშე, რომელიც გფრ-ს არც ერთ ნაკრებში არ გამოსულა.

ალან ჰანსენი (1956). ნახევარმცველი. დანიის ნაკრებში ჩაატარა 9 მატჩი.

ვილიამ ჰარტვიგი (1954). ნახევარმცველი. შავკანიანი ფეხბურთელი. ჩატარებული აქვს 2 მატჩი გფრ-ის პირველ ნაკრებში და 6 — მეორეში.

ფელიქს მაგათი (1953). ნახევარმცველი. თამაშის შესანიშნავი ორგანიზატორი. 24-ჯერ ითამაშა პირველ ნაკრებში, 4-ჯერ მეორეში. მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ „ბუნდესკაპიტან“ დერვალს გაუგზავნა წერილი, რომ წყვეტს ნაკრებში თამაშს.

ვოლფგანგ როლფი (1959). ნახევარმცველი. ყურადღება მიიპყრო ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებში. ამჟამად სისტემატურად გამოდის „ჰამბურგის“ ძირითად შემადგენლობაში.

ლარს ბასტრუპი (1955). საუკეთესო დანიელი თავდამსხმელი, რომელიც კარგად შეეწყო ჰამბურგელთა კოლექტივს, გამოირჩევა შედეგიანობით. დანიის ნაკრებში 20 მატჩი აქვს ჩატარებული.

ბორიშა ჯურჯევიჩი (1953). ადრე იუგოსლავიის ნაკრების ერთ-ერთი უძლიერესი თავდამსხმელი იყო (20 მატჩი). „ჰამბურგში“ თამაში დაიწყო ზებეცის დროს. ახლა დროგამოშვებით გამოდის მინდორზე.

თომას ფონ ჰეესენი (1961). თავდამსხმელი. 3 მატჩი აქვს ჩატარებული ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებში. ამ ენერგიულ და შედეგიან ფორვარდზე „ჰამბურგის“ ხელმძღვანელობა დიდ იმედებს ამყარებს.

ჰორსტ ჰრუბეში (1951). „ბულდოზერად“ წოდებული ცნობილი ცენტრალური თავდამსხმელი (187 სმ, 88 კგ). წლების განმავლობაში ითვლება ევროპაში ერთ-ერთ უძლიერეს ფორვარდად. 24 მატჩი ჩაატარა პირველ ნაკრებში, 3 — მეორეში. მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ დერვალს შეუთვალა, რომ ასაკის გამო აღარ აპირებს მასთან თამაშს. ერთი ჟურნალისტი წერს ასეთ საინტერესო შემთხვევაზე: ჰრუბეშთან გამოცხადდა ყმაწვილი და უთხრა: „ვარ ცამეტი წლისა, ჩემი სიმაღლეა 183 სმ. ვთამაშობ ფეხბურთს. მინდა გავხდე მეორე ჰრუბეში. რას მირჩევთ?“ რჩევა ასეთი იყო: „ივარჯიშე ყოველდღიურად“.

იურგენ მილევსკი (1957). თავდამსხმელი. სხვათა შორის, თბილისში ნათამაშევი აქვს დასავლეთ ბერლინის „ჰერტას“ შემადგენლობაში. ძლიერი, შედეგიანი ფორვარდია. ნაკრებიდან ვეტერანების წასვლასთან დაკავშირებით, დერვალმა მოუხმო მილევსკის. გფრ-ს ნაკრებში ჩაატარა 2 მატჩი, 6 — მეორეში, ერთხელ ითამაშა ახალგაზრდულ ნაკრებში.

ასეთია „ჰამბურგერ შპორტფერაინი“, რომელსაც გფრ-ს პრესა ჩვეულებრივ „ნაკრების წევრების გუნდს“ უწოდებს ხოლმე.

გ. გამრეკელი.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

როგორ მიიზიდონ მაყურებელი

ინგლისის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩებს ბოლო დროს სულ უფრო აკლდება მაყურებელი. მიზეზი ბევრია — ძველი სტადიონები, ძვირადღირებული ბილეთები და, რა თქმა უნდა, ზოგიერთ გულშემატკივართა უმსგავსო საქციელი.

ინგლისის ფეხბურთის ხელმძღვანელები სტადიონზე მაყურებლის დასაბრუნებლად სხვადასხვა ღონისძიებას მიმართავენ. ამ მიზნით ისინი ამერიკელ კოლეგებსაც კი დაესესხნენ — ტურნირებს დარბაზებში მართავენ.

აშშ-ში არსებობს საფეხბურთო ლიგა, რომელიც ჩემპიონატებსაც კი დახურულ შენობებში ატარებს. გუნდები, რომლის შემადგენლობაში 6 მინდვრის მოთამაშე და მეკარეა, დაახლოებით ჰოკეის მოედნის ტოლ მინდორზე თამაშობენ. ამ ტიპის ექსპერიმენტულ ტურნირში, რომელიც გაიმართა ბირმინგემში, მონაწილეობა მიიღო ინგლისის პირველი ლიგის 8 გუნდმა, მათ შორის „არსენალმა“, „ნოტინგემ ფორესტმა“ და „იფსვიჩ თაუნმა“. ორი დღის განმავლობაში ტრიბუნები მაყურებელს ვერ იტევდა.

ეს ძალზე საინტერესო თამაშია, — თქვა ინგლისის ნაკრებისა და „არსენალის“ მცველმა კენი სენსონმა. — აქ ვნახეთ თუ როგორ ტექნიკას ფლობენ ფეხბურთელები.

—მომეწონა შეჯიბრების ატმოსფერო, — აღნიშნა ერთ-ერთმა მაყურებელმა — მშვიდად ვიჯექი ბავშვებთან ერთად. დიდ სტადიონზე დიდი ხანია არ დავდივარ.

ტურნირით კმაყოფილია აგრეთვე. საფეხბურთო ლიგის ერთ-ერთი ხელმძღვანელი გრემ უოკერი. ჩვენ ვიხილეთ სწრაფი და საინტერესო ფეხბურთი, რომელმაც მიიზიდა მაყურებლები, — თქვა მან.

გამოითქვა აზრი, რომ დეკემბერ-იანვარში შეწყდეს ინგლისის ჩემპიონატი და შეჯიბრებები დახურულ მოედნებზე ჩატარდეს. მაგრამ ეს ჯერჯერობით მხოლოდ განზრახვაა. მთავარ სიძნელეს წარმოადგენს მოედნების სიმცირე. მაგრამ ხელმძღვანელობა ოპტიმისტურადაა განწყობილი დავარაუდობს, რომ მსგავსი ტურნირები მიიზიდავს ბოლო დროს „დიდ“ ფეხბურთში იმედგაცრუებულ მაყურებელს.

ჩვენი ამოცანაა, — თქვა უოკერმა, — მომავალში ასეთი შეჯიბრებები მყუდრო ვითარებაში ჩავატაროთ, მაყურებლებს საშუალება ექნებათ მშვიდად უცქირონ და დატკბნენ ფეხბურთით.

ამ აზრს მხარს უჭერს „არსენალის“ მთავარი მწვრთნელი ტერი ნეილი. საზეიმო ვითარებამ ბირმინგემის ტურნირზე უამრავი მაყურებელი მიიზიდა. რამდენადმე უნდა შემცირდეს ინგლისის ჩემპიონატი, რათა მსგავსი ტურნირების ჩატარების შესაძლებლობა მოგვეცეს, — თქვა მან — ამავე აზრის არიან ჩემი თანაგუნდელებიც. ყველას უნდოდა მინი-ფეხბურთის თამაში. უნდა გამოვტყდე, რომ მეც დიდი სიამოვნებით ვითამაშებდი ასეთ მატჩებში.

ინგლისური ფეხბურთის ლიგის მდივანმა გრემ კელიმ ბირმინგემის ტურნირს „კარგი დასაწყისი“ უწოდა. ახლა მის შემდგომ განვითარებაზე უნდა ვიფიქროთ. პირველ რიგში აუცილებელია რამდენიმე თანამედროვე დახურული სტადიონის აგება. სწორედ ამისკენ წარვმართავთ მთელ ჩვენს მეცადინეობას, — განაცხადა მან. (საკდესი).

ვიცე-ჩემპიონის გეგმები

როგორც გფრ-ის ფეხბურთის ფედერაციის მიერ გამოქვეყნებული ცნობა იუწყება, წლეულს მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი, გფრ-ის ნაკრები შემდეგ მატჩებს გამართავს: 17 სექტემბერს ბუდაპეშტში შეხვდება უნგრელებს, 5 ოქტომბერს გელზენკირხენში ავსტრიელებს (ევროპის პირველობა), 26 ოქტომბერს დასავლეთ ბერლინში თურქებს (ევროპის პირველობა), 16 ნოემბერს ჰამბურგში ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრებს (ევროპის პირველობა), 20 ნოემბერს საარბრიუკენში ალბანელებს (ევროპის პირველობა).

მექსიკის ნაკრები — „ვაშაში“ 1:0

მექსიკის ნაკრებმა სპარინგ-პარტნიორად მიიწვია უნგრეთის პირველი ლიგის კლუბი „ვაშაში“ (ბუდაპეშტი). პირველ ტაიმში ანგარიში არ გახსნილა. შესვენების შემდეგ მასპინძლებმა შეძლეს ერთადერთი ბურთის გატანა და გაიმარჯვეს. ამ გოლის ავტორია ერნანდესი.

● სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

დღეიდანვე ვიფიქროთ

თბილისი. სპორტის სასახლე. 13 თებერვალი.

„დინამო“ (თბილისი) — ცსკა 90:115 (50:56).

„დინამო“: ბოროდაჩოვი (18), ნ. დერიუგინი, გურასპაული (22), ბიჭიაშვილი (14), დარსაძე (10), ტომარაძე (2), მილოვიდოვი (18), ლიპარტელიანი (4), ჯორჯიკია (2).

ცსკა: ერიომინი (2), გუსევი (18), ტკაჩენკო (28), კუზმინი (24), ტარაკანოვი (18), პოპოვი (8), მელეშკინი (8), მიშკინი (2), სუხარევი (2), პანკრაშკინი (5).

მსაჯები: ს. კოპიტოვი (კიევი) და გ. კარტენკო (რიგა).

თბილისის „დინამო“ საკუთარ მოედანზე ნებისმიერი კოლექტივისთვის ტრადიციულად ძნელი დასამარცხებელი გუნდია, რა თქმა უნდა თვით მოსკოველი არმიელებისთვისაც, მაგრამ ამჯერად, ობიექტური მიზეზების გამო, მატჩის ამგვარ მსვლელობას, განსაკუთრებით პირველ ტაიმში, ალბათ არავინ ელოდა. მასპინძელთა შესუსტებული შემადგენლობა (არ თამაშობდნენ ნ. დერიუგინი და ზ. გრძელიძე) როგორც თანასწორი თანასწორს, ისე ეთამაშებოდა ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონს. ბუნებრივია, როცა ამას ვამბობთ, მხოლოდ ქულათა იმ მცირე განსხვავებას არ ვგულისხმობთ, პირველი ოცი წუთის ორთაბრძოლას რომ მოჰყვა. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ „დინამომ“ ერთ ტაიმში 50 ქულა მოაგროვა, რაც ბოლო წლების მანძილზე ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელია. ესეც არ იყოს, დასაიმედებელი და ყველაზე სასიამოვნო ჩვენი კალათბურთელების თამაშის ხარისხი იყო. ცხადია, მასპინძელთა დაცვა კვლავ ბევრს სცოდავდა, სამაგიეროდ ასე სწრაფი და გააზრებული, რაც მთავარია, შედეგიანი შეტევები კარგა ხანია არ გვინახავს. სეზონის დასაწყისიდან დიდი დრო არ გასულა, მაგრამ აშკარად იგრძნობა, რომ შესამჩნევად აიმაღლეს თამაშის კლასი გურასპაულმა და დარსაძემ, უფრო გაბედულად ებმებიან ორთაბრძოლაში ბოროდაჩოვი და მილოვიდოვი, კვლავ შედეგიანად თამაშობს გუნდის კაპიტანი ბიჭიაშვილი. სამწუხაროდ, სხვებმა მხარი ვერ აუბეს ამ ხუთეულს და სწორედ ამანაც განაპირობა თბილისელთა უღიმღამო თამაში მეორე ტაიმში. და მაინც, ორთაბრძოლა მეორე ტაიმშიც უთუოდ კარგა ხანს დაძაბული და საინტერესო იქნებოდა, შეხვედრის არბიტრებს საკუთარი პროფესიის, სპორტსმენებისა და სპორტის სასახლეში მოსული თითქმის ათი ათასი კაცის მიმართ ელემენტარული პატივისცემა რომ გამოეჩინათ. მატჩის შედეგზე ამ ფაქტს იქნებ არც მოეხდინა გავლენა, მაგრამ ვიმეორებთ, თამაში გაცილებით საინტერესო იქნებოდა, პირველ ტაიმში ორჯერ და ისიც გადამწყვეტ სიტუაციებში მსაჯებს გაუგებარი შეცდომები რომ არ მოსვლოდათ. ამ „შეცდომების“ წყალობით სტუმრებმა ორჯერ შეძლეს 5 ქულით დაწინაურება. მართალია, თბილისელებმა მაინც მოახერხეს ამ განსხვავების ლიკვიდაცია, მაგრამ ძალების ეს დაძაბვა, როგორც ჩანს, ძვირი დაუჯდათ. ამგვარი მიკერძოება მით უფრო უცნაურად გამოიყურებოდა, როცა, არავის, თვით არმიელ კალათბურთელებსაც არ სჭირდებოდათ ვისიმე „ხელის წაკვრა“.

ჩემპიონატის დამთავრებამდე ბევრი არაფერი დარჩა. არც ზაფხულის სპარტაკიადის სტარტებამდეა დიდი მანძილი. იგრძნობა, რომ „დინამო“ სწორ გზას ადგას. ახლა მთავარი და ალბათ უპირველესი საზრუნავი ის არის, რომ ამ პერიოდში გუნდმა არა მარტო არ დაკარგოს, რაც უკვე მოიპოვა, არამედ მოუმატოს კიდეც თამაშს. ამის გაკეთება კი იოლი არ არის. დაძაბულ ვარჯიშთან ერთად საჭირო იქნება სპარინგ-პარტნიორთა ძებნა, რომელიმე ტურნირში მონაწილეობა. ამაზე ახლავე უნდა ვიფიქროთ.

გ. ირემაძე.

* * *

კვირას შედგა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის ორი მატჩი.

კაუნასში ადგილობრივმა „ჟალგირისმა“ მიიღო ლენინგრადის „სპარტაკი“ და გაიმარჯვა 88:82 (47:41). ამ მოგების შემდეგ „ჟალგირისმა“ ჩემპიონატში, როგორც მინიმუმი, ვერცხლის მედლები გაინაღდა.

კიევში „სტროიტელმა“ მიიღო მოსკოვის „დინამო“. რაკი ამ მატჩს ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლებისათვის მებრძოლი გუნდი უნდა გამოევლინა, ბრძოლა უაღრესად დაიძაბა. ორი დამატებითი ხუთწუთიანი ტაიმის შემდეგ გაიმარჯვეს დინამოელებმა 119:118 (91:91, 100:100, 106:106).

● სათხილამურო სპორტი

სტუდენტთა VI რესპუბლიკური

ბაკურიანში ორ დღეს მიმდინარეობდა სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური საბჭოს VI სპარტაკიადა სათხილამურო სპორტში. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ ფიზკულტურის, პოლიტექნიკური, სამედიცინო, პედაგოგიური, უცხო ენების ინსტიტუტების სტუდენტი სპორტსმენები.

სამწუხაროდ, ვერც ერთმა მათგანმა ვერ შეძლო სტარტზე სრული შემადგენლობა გამოეყვანა. ამიტომ, შეჯიბრება რომ უფრო საინტერესო ყოფილიყო, ასპარეზობაში ჩართეს რესპუბლიკის ნაკრები გუნდების წევრები — ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტები, რომლებიც სხვადასხვა სპორტსაზოგადოებების წევრები არიან. ცხადია, საპრიზო ადგილები სწორედ მათ შორის განაწილდა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივმა, მეორე ადგილზეა პოლიტექნიკური ინსტიტუტი, მესამეზე პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის გუნდი.

გაგაცნობთ ტექნიკურ შედეგებს: რბოლა 5 კმ, ქალები: — ც. კოზანაშვილი, მ. მიქაბერიძე (ორივე — ფიზკულტურის ინსტიტუტი), თ. ნანაზიაშვილი (პუშკინის სახელობის ინსტიტუტი), 10 კმ, ვაჟები — მ. ბარბარიანი (ფიზკულტურის ინსტიტუტი), მ. კოვზირიძე, გ. ყიფიანი (ორივე — სამედიცინო ინსტიტუტი), ამანათრბენი 3X3, ქალები — მ. ცაგარელი, მ. ნაცაური, თ. ვახტანგაძე (ყველა — სამედიცინო ინსტიტუტი), 3X5, ვაჟები — მ. ბარბარიანი, მ. გაგლოშვილი, ა. ბუძიაშვილი (ყველა — ფიზკულტურის ინსტიტუტი), ქალები: გიგანტური სლალომი— მ. მიქაბერიძე, ც. კოზანაშვილი (ორივე — ფიზკულტურის ინსტიტუტი), ქ. ბოკერია (უნივერსიტეტი), სპეციალური სლალომი — ც. კოზანაშვილი, ქ. ბოკერია, მ. მიქაბერიძე, ვაჟები: გიგანტური სლალომი — ა. მიქაბერიძე (პოლიტექნიკური ინსტიტუტი), ჯ. ფხაკაძე (უცხო ენები), თ. ჯაფარიძე (ფიზკულტურის ინსტიტუტი), სპეციალური სლალომი — თ. ჯაფარიძე, ა. მიქაბერიძე, ჯ. ფხაკაძე.

აი, რა გვითხრა ასპარეზობის დამთავრების შემდეგ სპარტაკიადის მთავარმა მსაჯმა, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯმა ბადრი მიქაბერიძემ (ბაკურიანი):

— სამწუხაროდ, გუნდების უმრავლესობა მოუმზადებელი იყო. სტარტზე არ გამოცხადდნენ თელავის, ცხინვალის, სოხუმისა და გორის პედაგოგიური ინსტიტუტების სტუდენტები, თუმცა ბაკურიანში კი იყვნენ ჩამოსულნი. მათ წარმომადგენლებს არ მიუღიათ მონაწილეობა მსაჯთა კოლეგიის სხდომაში და არც ამ გუნდების განაცხადები შემოუტანიათ სამანდატო კომისიაში. რაც შეეხება ბათუმის გუნდს, იგი საერთოდ არ ჩამოსულა ბაკურიანში, მიუხედავად იმისა, რომ დროულად გაეგზავნა სპარტაკიადის დებულება. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ასეთი გულგრილი დამოკიდებულება არ რგებს ზამთრის სტუდენტურ სპორტს.

ლ. ხეცურიანი,
„ლელოს“ კორ.

ბაკურიანი.

● ჭადრაკი

ყველაზე წარმომადგენლობითი

ესპანეთის ქალაქ ლინარესში დაიწყო დიდოსტატთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ბევრი გამოჩენილი მოჭადრაკე მონაწილეობს. აქ არიან მსოფლიო ჩემპიონი ა. კარპოვი, ბ. სპასკი, ე. გელერი, ა. იუსუპოვი (ყველა — სსრ კავშირი), ბ. ლარსენი (დანია), ი. სეირავანი (აშშ), ვ. ჰორტი (ჩეხოსლოვაკია), ი. ტიმანი (ჰოლანდია), ი. მაილსი (ინგლისი), უ. ანდერსონი (შვეცია), დ. საქსი (უნგრეთი) და სხვ. უკვე გათამაშდა ორი ტური.

I ტურში კარპოვი დაუზავდა გელერს. მეორე დღეს იგი ისვენებდა (ტურნირში მონაწილეთა რაოდენობა კენტია და თითო ტურს ყველა გამოტოვებს), გელერი კი დამარცხდა საქსთან. უნგრელმა დიდოსტატმა I ტურში სეირავანს სძლია.

სპასკი ყაიმს დასჯერდა ანდერსონთან და იუსუპოვთან. პირველ დღეს ლარსენმა დაამარცხა იუსუპოვი, მაგრამ II ტურში თავად დაყარა ფარ-ხმალი მაილსთან.

დაუმთავრებელი დარჩა ანდერსონ — სეირავანის, ტიმან — ჰორტის და ჰორტ — მაილსის პარტიები.

ადგილობრივი გაზეთები წერენ, რომ ლინარესის ტურნირი ყველაზე წარმომადგენლობითია ესპანეთის ჭადრაკის ისტორიაში.

ლიდერს დაეწია, მაგრამ...

იურმალა (ლატვია), 14 თებერვალი (ტელეფონით, „ლელოს" სპეც. კორ.). ახალგაზრდა ოსტატთა საკავშირო პირველობაზე კიდევ ორი (XI, XII) ტურის პარტიები გათამაშდა.

XI ტურში ზაიჩიკმა მოუგო ანდრიანოვს და ერთპიროვნულ ლიდერს გავრიკოვს გაუთანაბრდა. მეორე დღეს ლიდერები შეხვდნენ ერთმანეთს. მძაფრ ორთაბრძოლაში თბილისელი მოჭადრაკე დამარცხდა.

საანგარიშო ტურებში აზმაიფარაშვილმა ორივე პარტია (გურევიჩთან, სალოვთან) გადადო.

დანარჩენი შეხვედრების შედეგები: XI ტური. გავრიკოვი — ლპუტიანი 0,5:0,5, ერმოლინსკი — კენგისი 0,5:0,5, ვიქმანავინი სალოვი 0,5:0,5, ლანკა — ხარიტონოვი 0,5:0,5, ნოვიკოვი — ჩერნინი 0,5:0,5. XII ტური. ერმოლინსკი — ნოვიკოვი 0:1, გურევიჩი — კენგისი 0,5:0,5, ლპუტიანი — ლანკა 0:1, ხარიტონოვი — მაიოროვი 0,5:0,5, შნეიდერი — ვიქმანავინი 0,5:0,5.

12 ტურის შემდეგ ვ. გავრიკოვს (ვილნიუსი) 8 ქულა აქვს, გ. ზაიჩიკს (თბილისი), ა. ხარიტონოვს (ივანოვო) ი. ნოვიკოვს (ხარკოვი) — 7-7.

ზ. აზმაიფარაშვილს 4,5 ქულა და ორი გადადებული პარტია აქვს.

შეჯიბრების დამთავრებამდე სამი ტური დარჩა.

ს. ვ. სიხარულიძე

გარდაიცვალა საქართველოს ფეხბურთელთა ძველი თაობის წარმომადგენელი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი სერგო ვასილის ძე სიხარულიძე.

წავიდა ჩვენგან ადამიანი, რომელმაც დიდი ღვაწლი დასდო რესპუბლიკაში სპორტის განვითარებას, რომლის მთელი ცხოვრება მჭიდროდ იყო დაკავშირებული ფეხბურთთან, განსაკუთრებით ნორჩი თაობის აღზრდასთან.

ს. სიხარულიძე დაიბადა 1913 წელს თბილისში, მუშის ოჯახში. პირველდაწყებითი განათლება მიიღო მე-2 შრომის სკოლაში, შემდეგ სწავლობდა თბილისის ინდუსტრიულ ტექნიკუმში, ამიერკავკასიის ინდუსტრიულ ინსტიტუტში, 1958 წელს კი დაამთავრა საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი.

სერგო სიხარულიძე ბავშვობიდანვე ეზიარა ფეხბურთს, 30-იანი წლებიდან თამაშობდა არხაიონის ახალგაზრდულ გუნდში, 1933 წელს გამოდიოდა მაშინდელ ტსპოში, 1934-35 წლებში თამაშობდა ამიერკავკასიის ინდუსტრიული ინსტიტუტის ძლიერ გუნდში, ხოლო 1935-40 წლებში — თბილისის „ლოკომოტივის" შემადგენლობაში, რომელიც საკავშირო პირველობაზე გამოდიოდა ჯერ „ბ" ჯგუფში, შემდეგ კი „ა" ჯგუფში.

განსაკუთრებით ნაყოფიერად მოღვაწეობდა ს. სიხარულიძე, როგორც ფეხბურთის მწვრთნელი. 1949-60 წლებში ხელმძღვანელობდა თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს გუნდს, რომელიც 9-ჯერ იყო საქართველოს ჩემპიონი, 6-ჯერ დაეუფლა საქართველოს თასს და 3-ჯერ გახდა საბჭოთა კავშირის ფიზკულტურის კოლექტივების საპატიო თასის მფლობელი.

შემდგომ წლებში ს. სიხარულიძე მუშაობდა საქართველოს განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული საფეხბურთო სპორტსკოლის უფროს მწვრთნელად, ბოლო წლებში იყო თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს ოლიმპიური რეზერვების საფეხბურთო სპორტსკოლის უფროსი მეთოდისტი.

ს. სიხარულიძის ხელმძღვანელობით საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები სამჯერ გახდა „სიჭაბუკის" საკავშირო თასის მფლობელი და ერთხელ — „იმედის" საკავშირო თასის მფლობელი, 1965 წელს მისი ხელმძღვანელობით საქართველოს ნაკრებმა მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონის წოდება მოიპოვა.

ს. სიხარულიძე წლების მანძილზე ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ მუშაობას, იყო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და მსაჯთა კოლეგიის წევრი, იგი დაჯილდოებული იყო მთავრობის რამდენიმე მედლით, აგრეთვე საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის, ქართული ფეხბურთის ამაგდარის, ნორჩი თაობების გულისხმიერი აღმზრდელის სერგო სიხარულიძის ხსოვნა მუდამ იცოცხლებს მისი მეგობრების, აღზრდილებისა და ახლობელთა გულში.

საქართველოს ვეტერანი ფეხბურთელები.

თბილისის განათლების სამმართველოს ოლიმპიური რეზერვების საფეხბურთო სკოლა.

● წყალბურთი

უძლიერესთა ექვსეულში

ლენინგრადში და ტაშკენტში დამთავრდა სსრ კავშირის წყალბურთელთა ჩემპიონატის I წრის მესამე ტურის მატჩები.

თბილისის დინამოელებმა ლენინგრადში თავიანთი ბოლო მატჩი ფრედ — 10:10 დაამთავრეს მოსკოვის უნივერსიტეტის სპორტსმენებთან და ექვს საუკეთესო გუნდს შორის მოხვდნენ.

საპრიზო მედლებისთვის ბრძოლას გააგრძელებენ: სსფ-ცსკ, „უნივერსიტეტი", ალმა-ათის, მოსკოვისა და თბილისის დინამოელები, აგრეთვე მოსკოვის „მოსკვიჩი".

ფეხბურთის ამბები

ელ-კუვეიტი. სსრ კავშირის ოლიმპიელ ფეხბურთელთა ნაკრებმა დაამთავრა ტურნე კუვეიტში. ბოლო მატჩში დაამარცხა ამ ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი „ელ-კუვეიტი" — 3:0 (1:0). მანამდე საბჭოთა ფეხბურთელებმა ორჯერ სძლიეს კუვეიტის ოლიმპიურ ნაკრებს — 1:0 და 6:0.

დასკვნით მატჩში 2 ბურთი გაიტანა ქელუდკოვმა, ერთი — გლუშაკოვმა. გუნდმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ვიაჩ. ჩანოვი, ქუპიკოვი, ბელიალოვი, ოლეფირენკო (პრიგოდა), კურნენინი (ქეროფიანი), გლუშაკოვი, ლარიონოვი, ბელანოვი, ალეინიკოვი, ჩერენკოვი, ქელუდკოვი.

ლიმასოლი. კიპროსის ამ ქალაქში მსოფლიო ჩემპიონებმა — იტალიელმა ფეხბურთელებმა მატჩი გამართეს კიპროსის ნაკრებთან. შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1.

● ცურვა

სწრაფი წამები „მოკლე" აუზში

ბონი. 25-მეტრიან აუზში გამართულ მოცურავეთა საერთაშორისო შეჯიბრებაში ახალ წარმატებას მიაღწია ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ლენინგრადელმა ვლადიმერ სალნიკოვმა. 800 მ თავისუფალი სტილით მან 7.38,9-ში გაცურა. სალნიკოვმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ამერიკელი ჯეფ კოსტოფის ადრინდელი მსოფლიო მიღწევა (7.44,53), კოსტოფი ფინიშთან მეორე მივიდა.

50 მეტრზე გულაღმა ცურვაშიც წარმატება საბჭოთა სპორტსმენებს ხვდათ. I-II ადგილები დაიკავეს ლენინგრადელმა ვიქტორ კუზნეცოვმა (25,91) და ჟდანოველმა ალექსანდრე სიდორენკომ (26,46). საკდესი).

სტენმარკის 70 „ოქრო"

ლეიკ-პლესიდის ოლიმპიადის ორგზის ჩემპიონს, მსოფლიოს თასის სამგზის გამარჯვებულს, გამოჩენილ შვედ სამთოსათხილამურეს ინგემარ სტენმარკს ბოლო დროს ბედი არ წყალობდა მსოფლიოს თასის სპეციალური სლალომის ტრასებზე. და აი, ამ დღეებში საფრანგეთის ქალაქ მარკსტეინში მიმდინარე მსოფლიოს თასის გათამაშებაში (იგი პირველად გაიმართა არა ალპებში, არამედ ვოგეზის მთებში) ი. სტენმარკმა ჩინებულად გაიარა სპეცსლალომის ტრასა — 1, 44, 54 (52, 92 და 51, 62) და შეჯიბრების ამ სახეობაში ლიდერი გახდა. მას 95 ქულა აქვს და მთელი 15 ქულით უსწრებს მომდევნო ადგილზე მყოფ გასული წლის თასის მფლობელს სტივ მარეს (აშშ), აღსანიშნავია, რომ ეს სტენმარკის მესამე გამარჯვება იყო მიმდინარე სეზონში და სამოცდამეათე მრავალი წლის სტარტების მანძილზე.

• • •

სურათზე: მეტოქეებმა ხელში აიტაცეს სამთო სათხილამურო სპორტში მეფედ აღიარებული ი. სტენმარკი.

საკდესის ფოტო.

მძლეოსნურ მერიდიანზე

მოსკოვში კრილატსკოეს ოლიმპიურ ველოტრეკზე მიმდინარე მძლეოსანთა ზამთრის საკავშირო თასის გათამაშების ფინალური ასპარეზობა, რომელშიც მონაწილეობენ აგრეთვე ბულგარელი, პოლონელი, რუმინელი და ჩეხოსლოვაკიელი სპორტსმენები, საკავშირო და მსოფლიო რეკორდებით აღინიშნა.

1000 მეტრზე უძლიერესთა გარბენში ბოლო 200 მეტრზე 25 წლის კიროველმა ლ. გურინამ სპრინტერული ტემპი განავითარა და ფინიშთან 2.37,60-ში მივიდა. ეს ქვეყნის ახალი რეკორდია დარბაზებისთვის. ადრინდელი მიღწევა ერთბაშად 6 სპორტსმენმა ქალმა გააუმჯობესა. 2 კმ-ზე რბენაში ახალი მსოფლიო რეკორდით გაიმარჯვა ჟუკოვსკელმა სერგეი ეპიშინმა — 5.23,89.

მხურვალე აპლოდისმენტებით შეხვდნენ მაყურებლები ჩეხოსლოვაკიელ სტუმარს ტატიანა კოცემბოვას, რომელმაც 400 მ 50,43-ში დაფარა. ეს წლევანდელი ზამთრის სეზონის საუკეთესო შედეგია მსოფლიოში.

ქვეყნის რეკორდსმენმა, ევროპის 1982 წლის ვერცხლის პრიზიორმა როსტოველმა სტუდენტმა თამარა ბიკოვამ 198 სმ სიმაღლე დაძლია, რაც სანტიმეტრით აღემატება ქვეყნის რეკორდს დარბაზებისთვის, რომელიც ერთი წლის წინ აქვე დამყარდა. ამჟამად თ. ბიკოვა ქვეყნის „აბსოლუტური" რეკორდსმენია. სტადიონზე და დარბაზში მიღწეული შედეგი 198 სმ-ია. მისი ბოლო ნახტომი ჯერჯერობით სეზონის საუკეთესო შედეგია მსოფლიოში.

სსრ კავშირის თასი მოსკოვის ოლქის მძლეოსნებმა მოიპოვეს.

ზინდელფინგენი. გფრ-ის მძლეოსანთა ზამთრის ჩემპიონატში ორჯერ გააუმჯობესა მსოფლიო მიღწევა 200 მ რბენაში 17 წლის რალფ ლიუბკემ. ნახევარფინალში მან დისტანციის დაფარვას 20,98 მოანდომა, ხოლო ფინალში— 20,77.

გენუა. მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონმა პიეტრო მენეამ გენუის სპორტის სასახლეში 200 მ 20,74-ში გაირბინა და მსოფლიო რეკორდი დაამყარა დარბაზებისთვის. 30 წლის იტალიელმა სპორტსმენმა 0,03 წამით „გაუსწრო" რალფ ლიუბკეს (გფრ) რეკორდს, რომელმაც მხოლოდ ერთი დღე-ღამე გაძლო.

იაბლონეცი. ადგილობრივი დახურული სტადიონის სარბენ ბილიკზე ჩეხოსლოვაკიელმა მორბენალმა იარმილა კრატოხვილოვამ გააუმჯობესა უმაღლესი მსოფლიო მიღწევა 800 მეტრზე რბენაში — 1.58,33. ადრინდელი რეკორდი ეკუთვნოდა ოლგა ვახრუშევას (სსრ კავშირი) — 1.58,4.

ტორონტო. აქ დარბაზების მსოფლიო რეკორდი დაამყარა კანადელმა ხუთჭიდელმა დევიდ სტინმა — 4104 ქულა.

ჟენევა. ტალინელმა სტაიერმა თომას ტურბმა გაიმარჯვა ტრადიციულ 35-ე საერთაშორისო კროს „სატუსში", რომელსაც შვეიცარიის მუშათა სპორტული კავშირი ატარებს. 25 წლის საბჭოთა სპორტსმენმა 11 კმ და 395 მ მანძილი 34.39,40-ში დაფარა. მეორე იყო ბულგარელი ათლეტი ე. იგნატოვი — 34.41,40, მესამე — მ. ვრაბეცი (ჩეხოსლოვაკია) — 34.42,57.

ზაპოროჟიე. საბჭოთა მრავალჭიდელმა ვაჟებმა ანგარიშით 34302:32661 სძლიეს გდრ-ის ნაკრებ გუნდს. ქალთა შეჯიბრებაშიც მასპინძლებმა იმარჯვეს — 18126:17631. პირად ჩათვლაში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ ლენინგრადელი ა. ნევსკი — 5816 და ნიკოპოლელი ნ. გრაჩევა — 4630.

(საკდესი).

● მხიარული ფანქრით



უსიტყვოდ...



ვ. კუციას ნახატები.

რედაქტორი ა. ბასილაია.

„ლოკომოტივის" სტადიონი
(ჭავჭავაძის პროსპ. № 74)
15 თებერვალი
ფეხბურთი
საკონტროლო მატჩი
„დინამო" (თბილისი) —
სსრ კავშირის პირველი ნაკრები

დასაწყისი 18 საათზე.

ბილეთების გაყიდვა დღეს დილის 10 საათიდან „ლოკომოტივის" სტადიონის სალაროებში.

ძალაშია „დინამოს" სტადიონის 1982 წლის ყველა საშვი.

ლენინური კომკავშირის სახელობის ცენტრალური საწყლოსნო სპორტული კომპლექსის დირექცია აცხადებს 6-დან 12 წლის ასაკამდე ბავშვთა მიღებას ცურვის შემსწავლელ ჯგუფებში.

მიმართვები გაიცემა 15 თებერვლიდან დარჩენილი ადგილების მიხედვით. ცნობებისათვის მიმართეთ მეთოდურ კაბინეტს. ტელ. 99-80-19.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით
საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29. ИНДЕКС 66435 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 უე 06235